1-21 სტრ., 4r

საქართუ‌ველოსა მეფეთა ჰშთამომავლობათათჳს:
მისს მაღალ-მსვლელობას ღენარალ ივან ლვოვიჩს ყიზლარის
კამენდანტს ‌ფროუნდორ‌ფს, მე უღირსი ანტნი კათო=
ლიკოზი სრულიად საქართუ‌ველოჲსა მოვახსენებ. მათგან
ბრძანებულისამებრ თხოვისა, რომელიცა დაღათუ მრავალ
განსაცდელ-შემთხვევისაგან დავიწყებით საჴელნი მეფეთა საქარ=
თუ‌ველოისათანი თჳთო თჳთოდ არღარა მახსოვან, მაგრა
სახელოვანთა მეფეთა საჴელნი, ანუ გარდაცვალებანი მეფეთა
გვართანი, და ანუ განყოფანი ნათესავთანი სამ-სამეფოდ ესენი
არიან, რომელნიცა ძველთა შინა მატიანეთა საქართუ‌ველ=
ოჲსათა წარმიკითხავნნ:

სიტყუა პირუ‌ველი:

ქართლოსისაგან არს შთამომავლობა ყოველთა ქართუ‌ველ=
ლთა:

პირველად ვიდრემე მამა ქართლისა, და ყოველთა მათ ქარ=
თუ‌ველთა ესე იგი ქართუ‌ველთა, იმერთა კახთა და ჯავახთა, რომელთაცა
ყოველთა მათ ეწოდების ქართველი იყო ქართლოს: ხოლო ჰსწერენ წერილთ-მწე=
რალნი სომეხთა, და ქართუ‌ველთანი, ვითარმედ ტომისაგან იაფეთისა, ყო=
ფად
ქართუ‌ველთა, და სომეხთასა:
ამან აღაშენა პირველად ციხე არმაზისა, და დაეშენა მუნ, და უწოდა
ციხესა მას ქართლი, და მიერითგან ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი.
1-25 სტრ., 4v
ხოლო ესხნეს ძენი ვიდრემე, რომელთა პირველი იყო მცხეთოს, რომელმან აღა=
შენა ქალაქი აღმოსავალით არმაზისა, შორის ორთა მათ მდინარეთა მტკვრისა,
და არაგვისა, და საჴელი დასდვა მას თჳსი ესე იგი მცხეთა: ხოლო ძმათაგან
მისთა იშვნეს კახნი, და ჯავახნი, და ძისა მისისაგან იმერელნი, გური=
ელნი, რაჭველნი, რომელნიცა არიან იმერნი, ესე ყოველნი, და მთით
კერძო საერისთოთა არაგვისა, და ქსნისათა, რაოდენნიცა არიან ენითა ქარ=
თულითა მოუბარნი:
ხოლო უფლოს ძემან მცხეთოსისამან აღაშენა დასავალით მცხეთისა
ქალაქი, და სახელი დასდვა მას უფლის-ციხე, წიაღ-მდინარისა კლ=
დეთა შინა, რომელი არს მახლობელ გორისა, ვჰგონებ ვითარმედ ვერსითა
შვიდითა: აქადამ განმრავლდა ნათესაობა ქართუ‌ველთა, ხოლო ერთისა ვის=
მე უფლოსისაგანისა ნათესავისაგან იქმნა რომელიმე ჰშთამომავლობა, რომელ=
თასა აქვნდათ არათუ საჴელი მეფობისა; არამედ მამასახლისობისა, და აქვნდა
შვილთა ქართლოსისთა პირველისა ქართველთა ყოველთა მამისათა მთავრო=
ბაჲ, და იჯდა იგი მცხეთას ქალაქსა: ხოლო ამათ
მამასახლისთა ჟამთა-
შინა იყვნეს წმიდანი მამათ-მთავარნი, აბრაამ, ისაკ, და იაკობ, და დიდი-
ღ˜თის-მზრახველი მოსე, და ყოველნი წ˜წარ-მეტყველნი ვიდრე ჟამადმდე ალექ=
სანდრე მეფისა მაკედონელთასა, რამეთუ ესეოდენნი იმფლობლნეს ამათ ჟამნი,
ვითარმედ ყოველნი მამამთ-მთავარნი, და წინასწარმეტყველნი, და მეფობანი

სირიელთა, ესე იგი ასურელთა, სპარსთა და მაკედონელთანი ვიდრე მეფო=
ბადმდე რომაელთა გარდაიცვლანეს: ხოლო ალექსანდრემან სპარსეთით
მომავალმან ანუ მიმავალმან სპარსეთად, დაიპყრა ოდეს იგი ქართლი,
და დაუტევა მთავარი ერთი სახელით აზონ ასიათასითა მჴედრითა, რომელნი
იყვნეს იტალიელნი, და თჳნიერ თავადთა რაოდენნიცა აზნაურნი არიან საქარ=
თუ̃ველოსა შინა ყოველნი აზონის მჴედართა არიან ძენი: და ესე ვიდრემე
1-23 სტრ., 5r
სიტყვაჲ პირველი აქამდის:

სიტყვა მეორე:

ფარნავაზისთჳს მეფისა ქართლოსიანისა რომელი
იყო მეფე პირველი საქართუ̃ველოჲსა:

იყო ვინმე ჭაბუკი საჴელით ფარნავაზ ძე ერისმთავართა, რო=
მელი ზემო ითქვა, და დედა მისი იყო ასული დარიოს მეფისა სპარ=
სთასა, და აღზარდა დედამან მისმან ფარულად სპარსეთს შინა, მით რამეთუ
სპარსთაცა შინა მაკედონთა იყო მთავრობა, და ეშინოდა მათი, ნუ უკუ̃ფ
დარიოსის ნათესაობისგამო არა რაჲ ევნოს ძესა მისსა, და ეშინოდა აზო=
ნისაგანცა, რამეთუ მამა და ყოველი სახლი ფარნავაზისი აღისპო ალე=
ქსანდრეს მიერ და შემდგომად აზონის მიერ:

და ვითარ იქმნა ოცისა წლისა ფარნავაზ, და წარმოვიდა სპარსეთით
და მო ვიდა მცხეთად, არამედ ფარულად შიშითა აზონისათა, და ნადირობასა შინა
კლდეთა შორის ტფილისისათა იპოვნნა მრავალნი უნჯნი, და დიდროან=
ნი კერპნი ოქროსა, და ვერცხლისანი დამალულნი, ხოლო წარმოიხვნნა იგინი
და კერძოთა მეგრელთასა იყო ვინმე თავადი დიდი სახელით ქუჯი, მისცა-
მრწემი დაჲ თჳსი ცოლად ქუჯის, და ლაშქარი შეიკრიბა უნჯიდა მით
და მოჰკლა აზონ, და დაიპყრა აფხაზეთიდგან ვიდრე დარუბანდამდე, და მაშინ
მომკვდარიყო ალექსანდრე, და იწოდა მეფედ, და განაგო წესი მეფობისა
სპარსთა მეფეთა წესისაებრ, და ამან შეაწყო ენისა სინარნარეცა ქართული:
ხოლო მრავალნი მეფენი იშვნეს ნათესავნი ამისნი - მაგრა აღსწყდა ნა=
თესაობა ამისი, და ერთი ოდენ ქალი დაშთა, რომელსა მოჰგვარეს ქრმად
ქართუ̃ველთა, ძე სომეხთა მეფისა ნათესავისაგან სპარსთა მეფისა-
1-25 სტრ., 5v
საჴელით ადერკი, ჟამსა აგვისტოს კეისრისასა, და იქმნა ფარნავა=
ზიანთა მეფობისა გარდაცვალება არშაკიანთად. და ესე ვიდრემე სიტყვა
აქამდის:

სიტყვა მესამე.

ადერკი მეფისათჳს არშაკუნიანისა, და შემდგომად
ხოსროიანთა მეფეთა მირიანისა და ვახტანგ
პირველისათჳს:

ამის ადერკის ზე || <note>|| მატთე.....</note> იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ამან
ადერკი იმეფა ჟამადმდე გაიოს, და კლავდი კეისართა, და ამისგან ჴშთა=
მოვიდეს მეფენი, რაოდენნიმე, ვიდრე ჟამადმდე დეოკლიტიანე კეის=
რისა, და ჟამსა მას აღჰსწყდეს ძენი ადერკისანი არშაკიანნი, და ითხო=
ვეს ქართუ̃ველთა სპარსთა მეფისა ხოსროვისაგან ძე მეფედ, და მი=
სცა უმრწემესი ძეი თჳსი მირიან მეფედ ქართუ̃ველთა, სპარსთა, და სომე=

ხთა მეფემან ხოსრო, და მოიყვანეს ჭაბუკი მირიან მეფედ ქართუ̈ჩ̈ლთა
ძე სპარსთა, და სომეხთა მეფისა ხოსროვისა, და მეფე იქმნა მირიან
აფხაზთა, და შვილთა ზემო-თქმულისა ქართლოსისთა, და არა შეიც=
ვალა გვარი მეფობისა, რამეთუ ხოსროცა მეფე მამა მირიანისა არშა=
კიანი იყო; არამედ შეიცვალა საჴელი გვარისა, მით რამეთუ არ=
შაკიანად, არამედ ხოსროანად იწოდნეს მეფენი ქართველთანი: ხოლო
მეფე იქმნა სომეხთა ზედა უხუცესი ძმაჲ მირიანისა ტირდატ, ამან
უკვე მირიან ისმინა, ვითარმედ მეფე იქმნა კოსტანტინე რომს ძე კო=
სტა დიდისა, და ნათელ-იღო სილივისტროსმიერ რომაელთა პაპისა, და
შემდგომად რაოდენთა არა ფრიად მრავალთა წელთა, მოვიდა ქალწული
ნონა, და განანათლნა ყოველნი საქართველოჲ შვილნი ქარ=
თლოსისანი, ნათლისა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა, და თჳთ მე=
1-22 სტრ., 6r
ფემანცა მირიან ნათელ იღო, დაყოველთა ქართუ̈ჩ̈ლთა ჴელითა ევსტათი
ანტიოხელ მამათმთავრისათა, რომელიცა აღრაცხილ არს ევსტათი იგი
რიცხვთა შორის სამ-ას-ათვრა-მეტთა ნიკიელთა მამათასა:
ხოლო წმიდამან მეფემან კოსტანტინე ჟამსა ამის მირიანისასა
ჰპოვა ცხოვრება ყოვლისა სოფლისა, პატიოსანი ჯვარი უფლისა
ღ~თისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხოლო ფერხისა სა=
უფლოჲსა ფიცარი ცხოველ-მყოფელისა ჯვარისა, და სამსჭვალი საუფლო,
რომელი არს დღეს სამეუფლოსა ქალაქსა მოსკოვს, რომელთა კათო=
ლიკე ეკკლესიასა შინა არს მოსკოვს, წარმოუგზავნა ამას მირიანს კე=
ისარმან კოსტანტინე:
ხ~ იშვნეს ამის მირიანის ნათესავისაგან რაოდენნიმე, რო=
მელთაგანი არს ვახტანგ პირველი, რომელსა მგელ-ლომად საჴელ-ჰსდებენ
სპარსნი, და ესე ვახტანგ იყო ჟამსა თეოდოსი პირველისა, და ძისა
მისისა არკადისასა: ამან ვახტანგ უწოდა ქართილისა კათალიკოზსა კა=
თალიკოსი ბრძანებითა ანტიოხელისა პატრიარხისათა, რ~ იყო ყოველი
საქართუ̈ჩ̈ლოჲ ჴელსა ქვეშე ანტიოხელისა პატრიარხისათა, ამანვე განჰყო
საეპისკოპოზოებად სამეფო თჳსი, და დაადგინა ეპისკოპოსნი, ათ=
ორმეტნი ქართლს, ათორმეტნი ჯავახეთს, ორი იმერეთს, და ცხრა
კახეთს. და ესე ყოველი ჴელის ქვეშე ჰყო მცხეთისა, და ყოვლისა სა
ქართუ̈ჩ̈ლოჲსა კათალიკოსისა. ამანვე მეფემან ვახტანგ აღაშენა ქა=
ლაქი ტფილისი, ქალაქი ნისანი, გაღმართ ტფილისისა, ქალაქი
კალისი ჩრდილოთ კერძო ტფილისისა, და ქალაქი კასპი აღმოსავლით
1-20 სტრ., 6v
კერძო უფლისციხისა, ამანვე აღაშენა ეკკლესია საკათალიკოსო მცხეთას
საჴელსა ზედა ათორმეტთა მოციქულთასა:
ხოლო შემდგომად ვახტანგისა ჰშთამოვიდეს რაოდენნიმე მე=
ფენი, და აღსწყდეს კ~დ. და ესე სიტყვა ვიდრემე აქამდის.

სიტყვა მეოთხე.

მეფეთათჳს დავითიან ბაგრატო=

ვანთა:

აქა უკვე ვიტყოდეთ მეფეთათჳს ბაგრატოვანთა, რომელნი

შემდგომად აღწყვედისა ხოსროვანთასა, ესე იგი შვილთა მირიან, და ვახ=
ტანგისათა იქმნნეს მეფედ. და რომლითა უკვე მიზეზითა ამით ვითარმედ მო=
იოხრა რა იუდეა უესპასიანეს მიერ და ტიტესა, რომელნიმე ებრაელთაგანნი
ივლტოდეს ფარულად შვილნი ტყვეთაგან წარსხმულთა იტალიად ჰშთა=
მოსრულნი შვილთაგან კლეოპასთა, რომელი მოიხსენების სა~ღთოსა ში=
ნა სახარებასა || <note>|| ლუკა. 29.</note> ლუკას მიერ, ესენი მოვიდეს იერუსალიმად
მოოხრებულსა მას
ქალაქსა, და დემკვიდრნეს მზგავსად მწირთა ქალაქსა მას სამშობლოსა თჳსსა
ხოლო ხედვიდეს რა მოოხრებასა იუდიასსა, ვერ შემძლეთა ყოფისათა, რამეთუ
მკვიდრობდეს ქრისტეანენი ფ~დ უმრავლესნი იუდეანთასა, შვილთა მათ
ფარულად ლტოლვით მოსრულთასა, ჰყვეს განზრახვა, და წარმოვიდის
აღმოსავალად, და მოიწინეს დიდსა ერმანიასა, რამეთუ მთავართაგან სომეხ=
თასა შეწყნარებლ-იქმნნეს - მით რამეთუ გამოიკითხეს რა მათი იგი
1-23 სტრ., 7r
ნათესავობაჲ, და ჰსცნეს ვითარმედ ტომისაგან დავით, და სოლომონ
მეფეთა ისრაილისათა იყვნეს, ხოლო ძმა ერთი მათგანი დაადგრა მუნ, და ექ=
ვსნნი მათგანი წარმოვიდეს ქართლად, და ვითარ მოიწინეს ნისანად,
სამეფოსა ქალაქსა ქართუზლთასა, ჯერეთ არღა აღწყვედილ-იყვნეს
მეფენი ხოსროანნი, და მეფობდა მაშინ სტეფანე, და მისგანცა შეწყა=
ლებულ იქმნეს ფრიად, და ნათელ-იღეს რამეთუ ებრაელთა ჰსჯულის
შემწყნარებელ-იყვნეს, მამულისა მათისა, და უხუცესი მათი სა=
ჴელით გურამ, მეფემან სტეფანე ამირ-სპასალარ-ჰყო, ესე იგი ღენე=
რალ-სიმუს-ჰყო, და სხვანი მიიქცნენ რომელსამე ადგილსა:
ხოლო გურამ დავითიანი ღენერალ-სიმუსი სტეფანე მეფისა იყო
კაცი ფრიად მჴნე, მეცნიერ წერილისა, და ფრიად მორწმუნე, და ჟამსა
მას საქართუზლოჲ იყო შერთულ იმპერიასა ბერძენთასა, რომელი
იყო დიდი იუსტინიანე, და ცნობილიქმნა გურამ იუსტინიანეს-
მიერ, და მიემთხვივა პატივსა კურატ-პალატობისასა: ხოლო ჟამს ამას
განსდგნენ სომეხნი წმიდისაგან კათოლიკე ეკკლესიისა, და
ამისა
ჟამსა იქმნა მოქცევა აფხაზთა სარწმუნოებად ჭეშმარიტისა ქრის=
ტეს ღ~თისა ჩვენისა ფრუმენტიოსვისმე მიერ იუსტინიანე კეისრისა სა=
ჭურისისა, რომელიცა ნათესავით იყო აფხაზი; რამეთუ ამა ჟამადმდე
აფხაზნი წარმართ-იყვნეს:
და გურამ იგი დღითი დღე წარემატებოდა წინაშე კეისრისა,
და მოკვდა სტეფანე იგი მეფე, და მეფედ იქმნა გურამ ქართუზლთა ყ~თა
და აფხაზთა ზედა ნათესავობისათჳს საწ~წარმეტყველოჲსა, და სიმჴნისა მისისა. და
ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:
1-22 სტრ., 7v

სიტყვა მეხუთე.

მეფეთათჳს გურამისაგან ჰშთამოსრულთა
დავითიან ბაგრატოვანთა:

და ვითარ ჰშთამოვიდეს, რომელნიმე მეფენი გურამისგან,
და განიყვნეს სამეფონი ორად, ესე იგი, რაოდენნიცა მრავალ გზის

მოხსენებულ-არიან აქა შვილნი ქართლოსისანი, ხვდა პირველსა
და მეორესა აფხაზეთი, და ჟამთა ამათ შინა განთავისუფლდა, ჴელის=
ქვეშეობისაგან ანტიოხელთა პატრიახისათა კათოლიკოსი მცხე=
თისა, და ყოვლისა საქართუ̈ℓლოჲსა იოანე ჟამსა მეექვსი=
სა კრებისასა; ხოლო იყო მეფე ვინმე ქართუ̈ℓლთა სტეფანე
ძეთან გურამისთა, და ჟამსა ამისსა გამოსცხადნა ყოვლად
უღმრთოჲ მაახმედ:
შემდგომად მეფეთა რაოდენთამე აღჰსწყდა მეფეთა ქართუ̈ℓ
ლთა დავითიანთა ძეთა გურამისათა ნათესავობაჲ და დაიპყრა საქ=
ართუ̈ℓლოჲ აფხაზთა მეფემან დავითიანმანვე ბაგრატ პირველმან,
რომელი იყო ძეთაგან გურამისთა, და მის ბაგრატის გამო ეწოდა ნათე=
სავთა მისთა ბაგრატოვან:
ხოლო ესეცა საუწყებელ-არს რამეთუ გურამის ჟამიდგან იწ=
ყეს განმრავლებად ძეთა ქართუ̈ℓლთასა სკოლათა შინა კოსტანტინუ-
პოლისათა, და მოვიდეს ქართლად, და ჰქმნეს სკოლანი ენითა ბერ-
ძულითა, და იწყეს თარგმანებაჲ წერილთა, და შვილიშვილი ბაგ=
რატისი დავით მესამე, რომელმან აღაშენნა საყოფელნი მოოხრებულნი
1-23 სტრ., 8r
საქართუ̈ℓლოჲსანი, უღმთოთა მახმედიანთა-მიერ გამოჰსჩნდა უძლე=
ველად, და არღარა მონებდეს სპარსთა, არცა ბერძენთა; არამედ თავისუ=
ფალ-იყვნეს მეფენი ქართუ̈ℓლთანი, შვიდნი ვიდრემე მეფადმდე თა=
მარისა. და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეექვსე.
მეფისა დავით მესამისა აღმაშენებელისა
შემდგომთა მეფეთათჳს:

იყვნეს უკვე მეფისა დავით მესამისა შემდგომად მეფენი დიმი=
ტრი ძე დავითისა, და ძენი დიმიტრისნი პირველი დავით, და მეორე გი=
ორგი, რომელი იყო შვენიერ ხილვითა, და ახოვან გვამითა დიმიტრი-
უკვე მოკვდა, და არა დაჰშთა ნათესავი მისი; ხოლო გიორგის ერთი უკვე
ასული ჰყვა, რომელა საკვირველი თამარ:
ამან უკვე გიორგი ცხოვრებასავე თჳსსა დაადგა გვირგვინი ასულსა
თჳსსა თამარს, და აღიარეს ყოველთა ქართუ̈ℓლთა, და აფხაზთა მეფად,
ხოლო იყო თამარ ოდეს დაადგა გვირგვინი მამამან ათორმეტისა წლისა,
და შემდგომად ორისა წლისა მოკვდა მეფე იგი გიორგი ჭაბუკი, და დაჰფ=
ლეს იგი საფლავსა პაპისა მისისა-მიერ დავით მესამისაგან აღშენებულსა
ფრიად შვენიერ გებულსა გაენათს:
მაშინ ჰსცხეს მეფედ თამარს ყოვლისა საქართუ̈ℓლოჲსა, და აფხაზეთი=
სა ქალაქსა ქალაქსა ნისანს, და შერთეს მას ქმარი, რათა არა უმკვიდრო იქმნას
სამეფო მისი ძე ოვსთა მთავრისა სახელით დავით, რომელი იყო მის=
ვე დავითიან-ბაგრატოვანისა ჰშთამომავლობათაგან ესრეთ; რამეთუ მეფე=
ნი ვინმე იყვნეს ძმანი ორნი ამისვე სამეფოსანი დავითოვან ბაგრატოვანნი
1-26 სტრ., 8v
შვილთაგან მრავალჯერ მოხსენებულისა გურამისთა, პირველსა უკვე ძმასა

ეწოდა დიმიტრი, და მეორესა გიორგი. დიმიტრი უკვე იყო მეფედ; მა=
გრა ძმამან მისმან გიორგი მიუღო მეფობაჲ, და ძე უკვე ესვა ერთი
ყრმაჲ მცირე მეფესა დიმიტრის, იგიცა მიჰსტაცა ძმამან მისმან
გიორგი, და მისცა ოვსთა მთავარსა მზევლად: ხოლო მთავარი იგი
ოვსეთისა იყო უშვილო, და მემკვიდრედ თჳსსა შეიწყნარა ყრმა იგი,
და მაშინ ოვსნი, და ყაბარდელნი იყვნეს ყოველნი ქრისტეანენი,
და ამის ყრმისაგან იშვნეს მრავალნი ოვსეთსაშინა, ხოლო შემდგომად
ამისსა მრავალთა წელთა მისცა დაჲ თჳსი რუსუდან ცოლად მეფე=
მან გიორგი მამამან თამარისმან მთავარსა ოვსთასა ბაგრატოვანსა,
ხოლო ჟამსა სიჭაბუკისასა დაქვრივდა ქალი იგი, და მოიქცა ძმისავე
თჳსისა საქართუ̃ᲩᲚოდ, და მიიყვანნა თჳსთანა ძე მაზლისა თჳსისა ყრმაჲ
დავით ქმარი თამარისი, და აღიზარდა იგი, ხოლო ასულიცა თჳსი გიორგიმ
თამარ მისცა აღზრდად დასა მას თჳსსა რუსუდანს: ხოლო რაჟამს იგი
მეფე იქმნა თამარ, და ენებათ ქმარი მისთჳს ქართუ̃ᲩᲚთა, და აფხაზთა
რათა არა უმკვიდრო იქმნეს სამეფო, მაშინ ძიება ჰყვეს, უკეთუ რომელიცა
ჰპოვეს ვინმე ღირსი ქმრად მეფაჲსა მათისა, სთქვეს ვითარმედ
ჭაბუკი ესე დავით, ნათესავი არს მეფეთა ჩვენთა ბაგრატოვანთა, და კეთ=
ილ-ზრდილ, და მჴნე, ამისი ჰყვეს გამორჩევაჲ, და თამარცა ითნო საქმე
ესე, და ჰქმნეს ქორწილი ვიეთა ჰშვენოდა სიმაღლისაებრ მეფობისა ქა=
ლაქსა ნისანს:
მრავალნი უკვე საკვირველნი ჰქმნნა თამარ, ვითარ იგი მოუთ=
ხრობენ მატიანენი მცხეთისა, და გაენათისანი, მრავალნი მძლავრნი, და
ზვავნი მეფენი უცხო თესლნი დაამდაბლნა წინა-აღმდგომნი თჳსნი.
მრავალნი ეკკლესიანი, და მონასტერნი აღაშენნა, და აღშენებულნი განა=
მდიდრნა: ხ˜ სომეხთა მეფენი, და ალვანიისანი ხარკსა მისცემდეს
1-24 სტრ., 9r
მას, და ჰყვა მჴედრად განწესებულნი კაცნი ვითარ სამასი ათას 300000:
ამისგან უკვე ერთისა ძისა, და ერთისა ასულისა კიდე, არა რა იშვა, და სა=
ჴელი ძისა მისისა გიორგი: ხოლო ასულისა რუსუდან: ამან უკვე
დაჰყო მეფობასა შინა წელიწადი ოცი, და ესრეთ მივიდა იგი წინაშე
უფლისა, და იქმნა ძე მისი გიორგი მეფედ წლისა ათ-შვიდმეტისა. და
და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეშვიდე
შემდგომად გიორგი მეფისა რუსუდანისთჳს

რომელი იქმნა მეფად, და მერმე დავით მე
ფისათჳს ძისა რუსუდანისა, და დავით მე
ფისათჳს ძისა გიორგი მეფისა:

მოკვდა გიორგი მეფე, და დაჰშთა ყრმაჲ მცირე საჴელით დავით;
ხოლო მეფე იქმნა რუსუდან დაჲ მისი, რომელიცა დაღათუ ჰშვენიერ მჰსგავ=
სად დედისა თჳსისა; გარნა არა საქებელ, ვითარ სანატრელი იგი დედაჲ მისი:
ამას უკვე რუსუდანს განუდგა თავადი ვინმე ქართლისა, და ვითარ ჰყო კვა=
მონება მისივე , მისცა მზევლად თავად მან მან ძეჲ თჳსი, ხოლო
იხილა რა რუსუდან მზევალი იგი ეტრფიალა მას; გარნა არა ისიძვა, არამედ
ქმრად შეიყვანა იგი პალატსა თჳსსა სამეფოსა:

ამისსა უკვე მეფობასა შინა მრავალი ბოროტნი იქმნნეს სამეფოსა
შინა მისსა, და განრისხდა ღ˜თი, და იქმნა მოოხრებაჲ ყოვლისა ქართლისა
სპარსთა-მიერ ლტოლვილთა თათართაგან. ხოლო თათარნი ამისა მეფობასა
შინა დამპყრობელ იქმნნეს პარსეთისა, და მრავალთა ადგილთა
აზიასთა;
ხოლო იყო პირველი მათი ჩინგიზ, რომელი ყაენ იქმნა: ხოლო ჩვენ
დავსდუმნეთ საქმეთათჳს რუსუდან მეფასთა, და ნუ განვაცხადებთ მას
1-26 სტრ., 9v
ვინადგან იყო ცხებული უფლისა და მართლ-მადიდებელ:
მოკვდა უკვე მეფა რუსუდან, და დაჰშთა ძე საჴელით დავით რომელ=
საცა ჟამსა თჳსისავე ცხოვრებისასა ჰსცხო მეფედ: ხოლო თათარნი მეფობდეს
მაშინ საქართუ̈ᲭᲚოსა ზედა, რამეთუ რუსუდან წარსწყმიდა თჳთ-მპყრობელო=
ბაჲ, და თათართა ძე გიორგი მეფისა, რომელი იყო ძმის წული რუსუ=
დან მეფასი, საჴელით დავით, და ძე რუსუდანისი დავით, ორნივე
ერთად მეფედ ჰყვეს, რომელთა სიგელნი სამეფონი იხილვებიან დღესა=
ცა ქვემო-წერილნი ესრეთ, სიგელი ესე ძე დავითისაგან ქვემო წერილია, და
ძე დავითისგან ქვემოწერილია: ხოლო დავით ძე რუსუდანისი ფრიად
მორწმუნე, და ღ˜თის მოშიშ იყო, გონიერ, და კეთილ-მსაჯულ, და სხვაცა
იგი დავით ესრეთვე: მაგრა ჟამსა სიბერისასა სოლომონს მიემსგავსა
ძე იგი გიორგისი დავით:
ამათ უკვე თან-მოსახელეთა მეფეთა ფრიადი აქვნდათ სიყვარული
ურთიერთარს, გარნა კაცთა ბოროტთა შუა: ჰქმნეს ბოროტნი საეშმა=
კონი სიძულილისა მიზეზნი, და რათა არა განგრძელდეს სიძულილი შორის
ორთავე მათ დავითთა, ჰქმნეს განყოფაჲ სამეფოთა, რამეთუ დავ=
ითს ძესა გიორგისსა, ჰხვდა ქართლი, კახეთი, შირვანი, და ჯა=
ვახეთი, რომელ არს სამთავრო ახალციხისა, და ყაბარდია, ოვსეთი, და
ქისტეთი, რამეთუ ოვსეთი, და ყაბარდია დაიპყრა სანატრელმან თამარ,
და ქისტეთიცა, და და ჯიქეთი ეგრეთვე თვარა ჟამადმდე თამარისა, არა იყო
მეფეთა საქართუ̈ᲭᲚოსათა:
და ძესა რუსუდანისასა ჰხვდა იმერეთი, გურია, ოდიში, რაჭა,
აფხაზეთი, სვანეთი, და ჯიქეთი: ხოლო თჳნიერ აფხაზეთისა რაჲცა
ჰხვდა დავითს ძესა რუსუდანისსა ყოველივე საქართველო არს, და ეწო=
დების ქვემოჲ საქართუ̈ᲭᲚოჲ, და ქართლსა, კახეთსა, და ჯავახე=
თსა, რომელ-არს ახალ-ციხისა სამთავრო, ეწოდების ზემო საქართველო
1-24 სტრ., 10r
და ორნივე ესე ზემო, და ქვემო საქართუ̈ᲭᲚო, ქართუ̈ᲭᲚთა კათო=
ლიკოსისა იყო ეპარხია; მაგრა სხვად სამეფოდ რა იქმნა ქვემო სა=
ქართველო აფხაზეთისა კათალიკოსისა იქმნა ეპარხიად:
ხოლო საუწყებელ-არს ესეცა, რამეთუ ძისაგან რუსუდანისა
არიან მეფენი იმერთანი, და ძისაგან გიორგისა არიან დღეს რუსთა
იმპერიასა შინა მყოფნი ძენი ქართუ̈ᲭᲚთა მეფისანი, და დღეს მყოფ=
ნი ქართლსა, და კახეთს მეფენი ძენი კახთა მეფისანი:
მერმეცა საუწყებელ არს ესეცა, რამეთუ ჟამსა ერთმეფობისასა იყო
სამეფოდ ქალაქად მცხეთა; მაგრა ვინათგან მიჰსცვალა სანატრელმან

მეფემან ვახტანგ პირველმან ნისანს, და ტფილისს ქალაქი სამე=
ფო, იქმნა სამეფო ქალაქად ნისანი რომელა გაღმართ ტფილი=
სისა, აღმოსავალით, რომელსა დღეს მოოხრებულსა მას მონდორსა
ეწოდების ავლაბარი, და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მერვე:

რუსუდანის ძის დავით იმერთა მეფისა
ძეთა თჳს, და საქმეთა მა=
შინდელთა:

საუწყებელ ვიდრემე არს ესე, რამეთუ შემდგომად დავით მეფისა ძისა
რუსუდანისა, რომელა მამა იმერთა მეფეთა, არღარა ჰმონებდეს შვილთა
დავითისთა მთავარნი ოდიშისა, რომელსა წოდებულ ჰყოფენ დადიანად,
და მთავარი გურიისა, რომელა გურიელი, არცაღა აფხაზნი არცა სვანნი,
და არცა ჯიქნი: არამედ თჳსთჳსად იმთავრნეს, პირველნი მათ შორის მყო=
ფნი თავადნი, ხოლო აფხაზნი, და ჯიქნი მოჰსდრკეს უჰსჯულოებადცა; გარნა
მხოლოდ იმერელნი ჰმონებდეს, დაღათუ რაჭველნიცა, არამედ
1-26 სტრ., 10v
რაჭაჲ არა სამთავრო არს; არამედ მისივე იმერეთისა ნაწილი არს: ხოლო
ძეთა დავითისთა ძისა გიორგისთა ჰმონებდეს ყოველნი ქართუჱლნი
რაივეცა ჰხვდა გარნა არღარა ყაბარდელნი, არცაღა ოვსნი, და არცა -
ქისტნი:

მრავალჯერ უკვე განრისხდა ღ˜თი საქართუჱლოსა-ზედა, უკეთურება=
თათჳს ქართუჱლთათა, მაგრა ოდეს მიიქციან ღ˜თისა მყის შეწყალებულ
იქმნიან, მსგავსად ისრაელთა ერისა, ვითარცა
მოგვეთხრობის წიგნთაგან
<note>რიც:11.17:
ისონავ. ზ.2.
მსაჯ. 6.7.
მეფე. 19. 33.
ნაშთ. 32.2.
ისაია. 37.3
</note> მოსესთა, ისო-ნავესთა. მსაჯულთა, მეფეთა, ნაშთთა, და წინასწარმე
ტყველთასა: ხოლო ჰმონებდეს მეფენი ქართუჱლთანი თათართა ნათესა=
ვთა ჩინგიზისათა, და მეფენი იმერთანი კეისარსა, და უმეტესი უკვე მშვი=
დობაჲ აქვნდა ყე იმერთა მეფეთა, და იცხებდეს ეკკლესიასა ქუთათის=
ისასა, და სამეფო ქალაქ მათდა იყო ქუთათისი:

ნუ დაუტევებთ უკვე გიორგი მეშვიდისა სახელსა, რომელი იყო მეფე ქარ=
თველთა, რომელიცა ღირს-მოჴსენებისა არს: ესე უკვე წოდებულ ვარსკვლავად
განთიადისა მატიანეთაგან ქართლისათა, მით რამეთუ ფრიადსა უკეთურებისა
ღამესა შინა იყვნეს მე ფობადმდე მისსა ქართველნი მეფენიცა, და მთავარნი;
მაგრა აღმოიჭვირვარა გიორგი ვარსკვლავმან განთიადისამან, განანათლა
ღამე იგი სიბოროტისა და მერმეღა მზემანცა სიმართლისამან განანათლა სამეფო
მისი: ხოლო უკეთურებასა რა ვიტყვი, არა თუ სარწმუნოებისაგან ჭეშმარი=
ტისა განსვლასა ვიტყვი; არამედ ბოროტთა საქმეთა: გარნა ამისა მეფო=
ბისა შინა დაჰსცხრეს ყოველნი იგი კაცნი უკეთურნი, სიბოროტეთაგან მათთა,

და იქმნა შეცვალება კეთილ-მადრიელად:
და მეფობასა შინა მისსა იყვნეს კეისარნი ბერძენთანი პალეოლოღნი, ეგ=
რეთვე მეფობასაცა შინა მამისა მისისასა: ხოლო რომაელთა, და ბერძენთა შორის
იყო გან ყოფილებაჲ ჟამსა მას არა ახალი, არამედ ჯერეთ არღა ქმნილ-იყო
კრებაჲ ფლორენცას. და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:
1-25 სტრ., 11r

სიტყვა მეცხრე
მეფეთა თჳს ქართლისა, და კახეთისა, და მათისა
გვარისა, და მეფისათჳს ბაგრატ მეოთხისა
და საქმეთა მაშინდელთა:

არა საიჭველ სადამე არს შემდგომად გურამ დიდისა შეცვალებაჲ
გვარისა მეფეთა ქართლისა, და კახეთისათა, არამედ მისვე დავითის, და
გუარამის ძირთაგან არიან რტონო ხისა კეთილ-სიტყვიერისა ბაგრატისნი,
უცვალებელად-დაღათუ იცვალა შემდგომად თამარის ასულის რუსუ=
დან მეფისა გვარი; არამედ იმერთა მეფეთა ოდენ განისაკუთრეს შეცვალება იგი
და იგინიცა შემდგომად ერთისა ცვალებისა არღარა აღჰსწყდენ; არამედ მისვე
რუსუდანისთა არიან ძეთაგანნი:
უწყოდენ უკვე მაღალ მსვლელობამან თქვენმან, უკეთუ არა მიპყრო=
ბდეს მე აღვირი თქვენისა მორჩილებისა, დუმილი შემიპყრობს აქა გულვე
ბადთათჳს მოსათხრობელთა — და ვერ დამპყრობელ ცრემლისა ვარ თქმადთათჳს;
გარნა ვინადგან ითნებს თქვენი ეგე მაღალმსვლელობაჲ საქართველოსა მე=
ფეთა ტომთა განყოფათათჳს, და პროვინციათა-თჳს საქრთველოსათა შემეცნე=
ბისა ესე არა დაიტევების:
იყვნეს უკვე შემდგომად გიორგი მეშვიდისა მეფენი ძეთაგან მისთა,
რაოდენნიმე, დაღათუ არაფრიად მრავალნი, ხ˜ იქმნა მეფედ ბაგრატ მეოთხე
და ჟამსა უკვე ბაგრატისსა მოიძულა ღ˜თმან ნათესავი ქართველთა, რამეთუ მრა=
ვალ ჯერ იქმნა მოოხრება საქართველოჲსა; მაგრა ესე ვითარი არაოდეს,
რამეთუ უღმრთომან ლანგ-თემურ ჰყო საკვირველი მოოხრებაჲ, რომელი
არასადა სმენილ არს:
მოიწია რა უკვე მძლავრი იგი, პირველად ქალაქი იგი სახელოვანი
სადა იცხებდეს მეფენი, რომელ-არს ნისანი, ტფილისი, კალისი, და მა=
1-26 სტრ., 11v
= ნისი, მცხეთა, კასპი, გორი, ურბნისი, და ყოველნი ქალაქი ქარ=
თლისანი, ეგრეთვე კახეთისანი, ყოველნი, და იმერეთისანი ბრწყინვა=
ლე იგი ქალაქი ქუთათისა, სამეფო ქალაქი იმერთა ყოვლითურთ აღაო=
ხრა, და ესე ყოველი ლანგ-თემურის-მიერ ცეცხლითა აღისპო:
ხოლო ერთი უკვე საქმე ახალი შემოიღო ყ˜დ უმღრთომან მან
რამეთუ ტყვისა წარყვანებაჲ ჰქმნა არცა ერთისა; არამედ მოასხიან რა სიმ=
რავლენი მრავალთა ბევრთანი, მამანი, და დედანი, ჭაბუკნი, და ჭაბუკანი,
ყრმანი, და ყრმაანი, მღვდელნი, დიაკონნი, სამღვდელოთაგანნი, და მო=
ნაზონნი ყოველნი ეკკლესიად მოასხიან, და დასწვიან ეკკლესიასა შინა: ხო=
ლო უკანასკნელ მოაგონნა მამამან მისმან ეშმაკმან ესეცა, რამეთუ თუ სადა=
მე ცხოველ-მყოფელსა ჯვარსა შეურაცხყოფდის ვინ, განარინიან, და მრა=
ვალთა ვჰგონებ ვითარმედ მილიონისა უმრავლესთა დაიდგეს გვირგვნი

წამებისა:
ხოლო დიდი იგი ეკკლესია მცხეთისა, რომელი აღაშენა მეფემან ვახ=
ტანგ პირველმან, რომლისა იყო გებულ კამარანი, და სვეტნი მარმარილოსანი
და იატაკიცა მარმარილოჲსა, ჯერეთ მოჰსწვა ცეცხლით ბილწმან, და მერმე
ძირითურთ აღმოფხვრა იგი, და სხვა || ნაბუზარდან იქმნა სახლსა ზედა ღ˜თისასა, და ყო=
ველნი საეპისკოპოსონი ეკკლესიანი, და მონასტერნი ქალაქთა, და უდაბნო=
თანი, სრულად დააქცივნა ძირითურთ, და არცა ერთი ეკკლესია განერა აღუფხ
ვრელად ჴელთაგან მისთა, თჳნიერ ეკკლესია ბოდბისა, რომელი მაშინ
მონასტრად იყო, სადა მდებარე არს გვამი განმანათლებელისა ჩვენისა წმიდი=
სა ქალწულა ნონნასი — და ესე დაჰფარა ღ˜თმან; რამეთუ მძლავრთაცა ეშ=
ინისთ ზოგჯერ სიწმიდეთაგან, და იფარა სიწმიდე იგი მაშინ ვითა || იერე=
მიას მიერ დამალულნი სიწმიდენი:
მრავალნი უკვე ბრძოლანი აჩვენნეს მაშინ ქართველთა ლანგ-თე=
მურს; რამეთუ მეფე ბაგრატ ფრიად მჴნე-იყო ბრძოლათა შინა, ხოლო შე=
1-23 სტრ., 12r
მდგომად ვერ განერა მეფეცა, არამედ ბრძოლასა შინა აღჰსწყვიდეს ლაშქარ=
ნი მისნი, და თჳთ შეიპყრეს მეფე, და წარიყვანა იგი ცოცხალი უღმრთო=
მან ლანგ-თემურ - ხოლო დედოფალი ცოლი ბაგრატისი, და ძეჲ ყრმაჲ
გიორგი განერნენ მცირეთა ვიეთმე მჴევლითა, და რაოდენითამე კაცითა
საერისთოსა შინა, და ეგრეთვე კათალიკოსიცა სამოილ განერა მცირითა
ვიეთმე სამღვდელოთა კაცითა:
ხოლო ვითარ მოიწია უღთო იგი შირვანად, განუტევა მეფე იგი
ბაგრატ ცოცხალი, და მიჰსცა მეფობავე მოოხრებულისა მის სამეფო=
ჲსა, და თჳთ წარვიდა სპარსეთად:
მაშინ არცაღა ერთი სოფელი, არცა დაბაკი, არცა სახლი სადამე
არცა ეკკლესია იპოებოდა ქართლსა შინა, თჳნიერ საერისთოთა არაგვ=
ისა, და ქსნისათა; ხოლო თუ სადამე მორჩნენ დაურღვეველად ეკკლესია=
ნი იგინი, რომელნი პირველ აღოხრებულ, და უშენ იყვნეს: ხოლო მო=
კვდა უკვე მეფე ბაგრატ მწუხარებისა მისგან დიდისა, და არავინ უწყის
სადა დაჰფლეს იგი; რამეთუ მცხეთა მოფხვრილი იყო, და ყოველნი
ეკკლესიანი დარღვეულ იყვნეს — და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეათე.

მეფისათჳს გიორგისა ძისა მეფისა ბაგრატ=
სა, და შემდგომად ამისსა მეფისათჳს
ალექსანდრე დიდისა:-

შემდგომად || <note>|| 1.მაკ. 1. 33.</note> ანტიოხოს მეორისა, უმღთოჲსა მის ლანგ-თე=
მურისაგან მოოხრებისა იქმნა მეფედ გიორგი ძე ბაგრატისი, გარნა
საჴელით ოდენ მეფე; რამეთუ არა რაჲ აქვნდა მას სამეფო, არცა იცხო
1-25 სტრ., 12v
მან, და მოკვდა იგიცა ჟამსა სიჭაბუკისასა, და დაშთა ყრმაჲ მცირე, რომელა
ალექსანდრე პირველი, ხოლო იყო რა რვისა წლისა უწოდეს მეფედ — და იყო
აღოხრებულ ქართლი, ჯავახეთი, კახეთი, შირვანი, და სადაცა ვინ თუ
სადამე განძრომილ-იყო, ჰშთამოვიდეს მთით და იწყეს შენება დაბათა:

ხოლო სანატრელი იგი დედა მისი დედოფალი აღზრდიდა ალექსანდრეს
მეცნიერებასა საღ˜თოთა წერილთასა, და მოჰგვარა მას კოსტანტინუ-პოლოთ მო=
ძღვარი ვინმე კაცი ღ˜თის მეტყველი, და დაისწავნა ალექსანდრე კნინ=
ღა ზეპირ ყოველნი საღ˜თო წერილნი, და ყოველი სიმგრგვლე გარეშისა მე=
ცნიერებისა: და ვითარ იგი იქმნა ოცისა წლისა მეორემან || <note>|| ნემია 2.18.</note> ნემია
იწყო
ზღუდეთა ქალაქისათა დარღვეულთა განახლებაჲ, და სახლთა სამეფოთა,
მაგრა ვერღარა აღაშენა სახელოვანი ნისანი ქალაქი; არამედ ტფილისს
მიჰსცვალა ქალაქი სამეფოჲ, და ყოველნი ეკკლესიანნი რაოდენნიცა
საეპისკოპოსონი, ანუ მონასტერნი, მოეფხვრნეს უღმრთოსა ლანგთე=
მურს ყოველნივე აღაგნა, და განაახლნა, და ჰყვის ენკენია დიდი, რომელი
ცა ეკკლესია განაახლის:-
ხოლო თჳთ იგიცა ეკკლესია დიდი მცხეთისა აღაგო მეორემან
|| <note>|| 2. ეზრა. 3.2.</note> ზორაბაბილ, და ჰყო ენკენია დიდი პირველსა ოკდომბერსა,
რომელიცა
დღეინდელად დღედმდე ჰგიეს, ყოველსა საქართუველოსა შინა დღესასწაულად
დიდად - ხოლო სოფელნი და ქალაქნი ყოველნი აღაშენნა; რამეთუ ფრიად
მჴნე იყო იგი ბრძოლათა შინა, და მსგავსად დავითის მამისა მისისა
შეაძრწუენნა უცხოთესლნი, რამეთუ მრავალგზის ებრძოლა მათ მკვიდ=
რთა სპარსეთისათა, და რომელიცა აღიღის ქალაქი, და წარმოიღოს ნა
ტყვენავი, და წარმოასხნის დედაწულითა ტყუჱნი, და რაჟამს მივი=
დის სამეფოდ თჳსად მისცის მჴედართა თჳს ხუთი, და თჳთ აღიღის
ერთი, და მიართჳს წმიდათა ეკკლესიათა, ხოლო ტყვენი იგი არცაერთი
1-23 სტრ., 13r
განისყიდებოდა; არამედ სადამე სამეფოდ აღიყვანიან თჳსთა ქალაქ=
თა, და სოფელთა დაასახლებდიან მშვიდობით — და უკეთუ თავადთათჳს
თჳსთა სოფელთა უბრძანის თავადთა მათ დასახლებაჲ, და რაოდ=
ენნი მჴედართა ჰყვანდიან ფასი მეფისაგან მიეცემოდის, და ქალაქ=
თა, და სოფელთა მე ფისათა დაასახლებდიან:
ორმეოც წელ უკვე იმეფა საკვირველმან მან, და არცა ერთი=
სა ნახევრავისა მიმღებელ იქმნა გლეხთაგან, და ჟამსა მეფობისა მისი=
სასა ვერცა თავადნი მიიღებდეს რასამე გლეხთაგან თჳსთა; რამეთუ ახალ-
შენ-იყო მაშინ სამეფო მისი, და ჰსწადოდა ფრიად, რათა აღაშენოს-
ქართლი: ხოლო ყოველი მისი ათისაგან ერთი გლახაკთა მიეცე=
მოდა. და ამით || <note>|| ფსალ. 88.</note> ვითარცა მზე საყდარი მის დადგა წინაშე ღთ˜ისა,
დაიპ=
ყრა აფხაზეთი, და იმერთაცა სამეფოჲ, და ყოველი რაოდენიცა განყო=
ფადმდე აქვნდაყე საქართუველოსა მეფეთა, და ყაბარდიაცა, ოვსნი, და
ქისტნი, და მახლობელნი აფხაზნი, ჯიქნი, და მახლობენლი იმერთა-
ნი სვანნი, და იქმნა ერთ-სამეფოდ, ვითარცა პირველ მამათა
მისთა აქვნდა:
და ვითარ იგი იქმნა ორმოცდა რვისა წლისა, ალექსანდრე
დიდი, მოუწოდა ძეთა თჳსთა, რომელთა პირმშოჲ მონაზონ იყო
სახელით დავით, და ვახტანგს უკვე მისცა, რომელი იყო ძე მეო=

რე, აფხაზეთი, ჯიქეთი, სვანეთი, ოდიში, გურია, და ყოველი
სამეფოჲ იმერთა მეფეთა, და უწოდა მეფედ: დიმიტრის ქართლი
ჯავახეთი, ოვსეთი, ყაბარდია, და ქისტეთი, და უწოდა მეფედ:
და უმრწემესსა ძესა გიორგის მისცა კახეთი, წერეთი, რომელსა შინა
1-23 სტრ., 13v
არს ჭარი, და კაკი, მცირენი თემნი, და შაქისი სადა ჰმსთავრობდა აქამდე
აჯიჩალაბი, და შირვანი რომლისა დედა ქალაქ არს შამახია, და არა უწოდა
მეფედ; არამედ მთავრად, და მოუწოდა მთავართა სამეფოსა თჳსისათა
ყოველთა, და ესრეთ მიათვალნა იგინი ძეთა თჳსთა, და დასდვა მაშინ
ყოველსა სამეფოსა ძეთა თჳსთასა სულსა ზედა ნახევარი მარჩილისა,
და სხვაჲ არა რაჲ; ხოლო ძესა მას თჳსსა პირ-მშოსა მონაზონსა დავ=
ითს მისცა კათოლიკოსობა მცხეთისა, და ყოვლისა საქართუ̂ფლოჲსა,
და თჳთ მონაზონ იქმნა, და საჴელ-იდვა ათანასი, და განბრწყინდაცა ღვაწლი=
თა მონაზონებისათა, და ესრეთ მივიდა მრჩობლითა გვირგვინითა წინაშე
უფლისა:
ხოლო ჟამსა მეფობისა მისისასა იქმნა კრებაჲ ფლორენ=
ცისა, და ჟამსა დასასრულსა მეფობისა მისისასა აღიღეს კონსტანტინუპო=
ლი თურქთა — და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეათ-ერთ-მეტე:

მეფისა ვახტანგის-თჳს ძისა მეფისა ალე=
ქსანდრე პირველისა და საქმე=
თა მაშინდელთა:

ალექსანდრე პირველისა ძეთა ვიტყოდეთ განყოფასა ესრეთ-იქ=
მნა რა მეორე ძე ალექსანდრესი ვახტანგ მეფედ იმერთა, აფხაზთა, და სხ=
ვათა, რომელი ითქვა, მოკვდა უკვე უშვილოდ, და არღარა აღწყვეტილ
იყვნეს ძენი რუსუდანისნი, რომელა მეფენი იმერთანი, და სამეფო მათი
დაიპყრეს მათვე, და აფხაზეთიცა ეგრეთვე, და ოდიში, და სხვანი თჳს=
თავე მთავართა დაიპყრეს, რომელთა აქვნდა ალექსანდრესა-მდე პირვე=
1-25 სტრ., 14r
ლისა: ხოლო დიმიტრი მეფე ქართლისა ძე მესამე ალექსანდრესი,
და გიორგი მთავარი კახეთისა ჰმონებდენ მეფესა სპარსთასა. და განი=
ყო სამეფო ორად, მაგრა ჯავახეთი, რომელა პროვინცია ახალციხ=
ისა დიდით მთავრითურთ თჳსით ჰმონებდეს მეფესა დიმიტრის:
მონაზონ უკვე იქმნა მეფეცა დიმიტრი, და უწოდეს-
დამიანე, და მეცა მინახავნ ხატი მისი მონაზონებისა სახითა, რამეთუ
სადაცა მე ვიმყოფებოდი მონასტერსა შინა მრავალ მთისასა, მუნ აღა
სრულა სრბაჲ ცხოვრებისა თჳსისა, და იქმნა ძე მისი კოსტანტინე
მისწილ მეფედ; ხოლო მოკვდა გიორგიცა მთავარი კახეთისა
და იქმნა მისწილ მთავრად კახთაზედა ალექსანდრე ძე მისი, და უწო=
დის კახთა მაშინ მთავარსა თჳსსა მეფეჲ: ხოლო მოკვდა მეფე კო=
სტანტინე, და მიიღო მეფობა ძემან მისმან დავით, რომელსა მშვი=
დად საჴელ ჰსდებენ, და ესვა ძმა, რომელსა ეწოდა ბაგრატ, და მოკლა
ალექსანდრე მეფე კახეთისა ძემან მისმან გიორგი, რომელსა ჰავ=
გიორგიდ საჴელსდებენ, და იქმნა მისწილ მეფედ, და დააბრმო ძმა=

ცა თჳსი დიმიტრი - და თჳთ ჰავ-გიორგი მოიკლა სიბოროტეთა, და
ავაზაკობათა შინა ქართუ‌ᲬᲚთა-მიერ:
მოკვდა უკვე ქართლისა მეფე დავით მონაზონ-ქმნილი,
და მეფე იქმნა მისწილ ძე მისი მეფე ლუარსაბ - და ესე ვიდრემე სიტ=
ყვა აქამდის:

სიტყვა მეათორმეტე:

მეფისათჳს ლუარსაბ პ˜ლისა, და შ˜დ ძისა მისისა სიმეონ პ˜ლისა
და ძისა ამის მეფისა გიორგისა:

ლუარსაბის მეფობისა დასაბამსა იყო ფრიად მძლავრობა სპ=
არსთა საქართველოთა ზედა; გარნა ლუარსაბის მეფობისა შინა ვერღარა
1-25 სტრ., 14v
მძლავრობდეს რამეთუ სხვა ვინ გედეონ იქმნა სპარსთაზედა ლუარსაბ
ვითარიგი || გედეონ მადიამსა ზედა: ხოლო აქა დამადუმებს მე სიმჴნე
ლუარსაბისა, და მაცხოვრად ერისა თჳსისა მოცემაᲲ მისი, ღ˜თისა მიმართ
რამეთუ თუსადამე ვიტყოდე სიმჴნეთა ლუარსაბისთა განვრცნების წე=
რილი, და თუ სადამე ვჰსდუმნე, არა ღირს დუმილით თანაწარსვლისა
არნნ სიმჴნენი მისნი:
ხოლო ესე უკვე ვჰსთქვათ მისთჳს, და ჭეშმარიტი ვჰს=
თქვათ; რამეთუ მოთხრობაᲲ ლუარსაბის სიმჴნეთა ყოვლითურთ
მსგავს არს ჭეშმარიტად მაკაბელისა იუდიას სიმჴნეთა, და სიკვდი=
ლიცა მაკაბელისა || იუდაებრ მიიღო ბრძოლათა შინა უცხო თესლ-
თაგან, მიშურნეობასა შინა, არათუ აჩრდილისა ჰსჯულისა, არამედ ჭეშ=
მარიტისა სარწმუნოებისა ქრისტეს ღ˜თისა ჩვენისა:
ხოლო მოკვდარა დაწყლული მეფე ლუარსაბ, რომელმან
აროდეს ჰმონა, და არცა ამონა სამეფოᲲ თჳსი სპარსთა. მეფე იქმნა
ძე მისი სიმეონ პირველი, მის წილ, ხოლო კახთა ზედა იყო მა=
შინ ლეონ დიდი ძე ჰავ-გიორგისა, რომელმანცა მოჰკლა მამა თჳსი,
ხოლო იმეფა სიმეონ არა მშვიდობით უცხო-თესლთაგან, და
უკანასკნელ ბრძოლასა შინა - თურქთა წარიყვანეს ტყვედ კო=
ნსტანტინო პოლის, და მიიცვალა მუნ. და იქმნა ძე მისი გი=
ორგი მეფედ მისწილ. ამისსა მეფობასა დაიპყრეს თურქთა ქვეყა
ნა ჯავახეთისა - და უარ-ჰყვეს, და დაუტევეს თჳთ მთავარმან ჯავა=
ხეთისამან, და სამთავრომან მისმან უფალი ჩვენი იესო ქრისტე,
და იქმნეს მახმედიან - ხოლო იყო კახთაზედა მეფედ ალექსანდრე ძე
ლეონ დიდისა:
მოკვდა უკვე გიორგიცა მეფე წამლითა შაჰაბაზისათა,
1-23 სტრ., 15r
და იქმნა მისწილ მეფედ ძე მისი ლუარსაბ მეორე - ფრიად ჭაბუკი ჰა=
საკითა, ხოლო მოიკლაცა ალექსანდრე მეფე კახეთისა ძისა თჳსისა კო=
სტანტინეს მიერ, და იქმნა უკეთური იგი კონსტანტინე მეფედ მკვლე=
ლად მამისა და ძმისა თჳისისა გიორგისი, და მიემგავსა იგიცა საქ=
მეთა ჰავ-გიორგისთა პაპისა თჳსისათა - ხოლო მოიკლა თჳით იგიცა-
უმღთო კონსტანტინე კახთა მიერ და
და ესრე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეათ სამ-მეტე:
კახთა მეფისა ალექსანდრე მესამესთჳს, და მაშინდელთა
ქმნილთა საქმეთა:

ვჰსთქუათ რა უღმრთოსა კოსტანტინეს მიერ მოკლვაჲ მამისა თჳ=
სისა მეფისა ალექსანდრე მესამისა, და ძმისა თჳსისა გიორგისი, და მოკვლაცა
მისი კახთაგან; მეფე იქმნა შემდგომად უღმრთოსა კოსტანტინესა, თეიმ=
ურაზ პირველი კახთაზედა, ხოლო ესე, თეიმურაზ ძის-წული იყო ალექსან=
დრესი, ძისაგა თჳსისა მოკულულისა, და ძე კახთა მეფისა დავითისი:
ხოლო მამამან ამის თეიმურაზისამან, დავით ძემან ალექსანდრე მესამი=
სამან მიუღო მეფობაჲ, კახთა მამას თჳსსა ალექსანდრეს სიცოცხ=
ლესავე შინა, და თჳთ იქმნა მეფედ - ხოლო არა ჰყოვნა საჰსჯელმან
საღმრთომან, და მოკვდა მეფე კახთა დავით, სიცოცხლესავე შინა,
მამისა თჳსისასა - ხოლო მეფე კახთავე იქმნა ალექსანდრე, და
შემდგომად სიკვდილისა ალექსანდრესსა, და უკეთურისა მის კოსტან=
ტინესსა, მეფედ კახთა იქმნა თეიმურაზ პირველი: ხოლო ჟამსა
მას იყო ქართლისა ლუარსაბ მეორე:

მოიწია უკუწჲ უღმრთო შაჰაბაზ მეფე სპარსთა კახეთსა
1-25 სტრ., 15v
ზედა, და მოაოხრა კახეთი, ვითარცა ლანგთემურ, ეგრეთვე სახედ ამან
და სოფელნი, და თჳთ ყ˜დ შვენიერი იგი ქალაქი გრემი - სადაცა მეფო=
ბასა განაგებდეს მეფენი კახთანი, გარდაასახლნა სპარსეთად, ვითარ=
ცა ჰყო || <note>|| 4 მეფეთა. 24. 14</note> ნაბუქოდნასორ იერუსალიმსაზედა და
იუდეასსა, და
ლუარსაბ მეფე ქართლისა წარიყვანა ასტრაბათად, და მოჰკლა
მუნ მოშთობისა მიერ. ხოლო ლუარსაბს არა ესვა ძე არცაღა
ძმა, და აღჰსწყდა მეფისა სიმეონ პირველისა ნათესავობაჲ:
მაშინ ქართველთა წინააღმდეგად სპარსთა მეფისა —
ჰყვეს მეფედ ქართლისად, მეფე კახთა თეიმურაზ პირველი, მით
რამეთუ ცოლი თეიმურაზისი, დაჲ იყო მეფისა ლუარსაბ მეორისა
და ჰსცხეს მეფედ ტფილისს, გარნა არა თავს იდვა ესე მეფემან სპარ=
სთამან; არამედ წარმოგზავნა ქართლსა ზედა ლაშქარნი უთვალავ=
ვნი, და მოვიდეს მდინარესა ზედა ალგეთისასა: ვინაჲცა ქართვ=
ელთაცა შეეკრიბნეს ლაშქარნი, ვითარ ოც-და-ოთხი-ათასი: ხო=
ლო მაშინ განრისხდა ღ˜თი საქართველოსაზედა, და მოჰსწყდეს ლაშქ=
არნი საქართველოსანი ოცი-ათასი კაცი, და ივლტოდა მეფე თეი=
მურაზ იმერეთად. ხოლო ჰყვეს სპარსთა მეფედ ქართლისად საჴელით
როსტომ ვინმე ფრიად მოხუცებული ძე ბაგრატოვანთავე მახმე=
დიანი, რამეთუ მეფესა ქართლისასა სიმეონს პირველსა, რომელი
ზემოვახსენეთ, ჰყვა ძმაჲ უმრწემესი საჴელით დავით. ესე და=
ვით წარვიდა სპარსთა მეფისა, და მახმედიან იქმნა, და

ცოლი, და შვილნი მისნი ყოველნივე დაშთეს ისპაანად
და ესე როსტომ მუნ იშვა ქალაქსა ისპაანს. და მეფედ
ჰყვეს ესე სპარსთა მემკვირდეობისა ძლით,
და ესე ვიდ-
რემე სიტყვა აქამდის:-
1-23 სტრ., 16r

სიტყვა მეათ-ოთხმეტე:
მეფისა როსტომის-თჳს, და მეფისა ვახტანგ
მესამისა, და საქმეთა-თჳს მაშინდელ=
თა:

მეფე უკვე ქართლისა იქმნა რა როსტომ, მისცნა ცი=
ხენი ტფილისისანი მეფესა სპარსთასა, და დარღვეულნი ქალაქთა —
ზღუდენი განაახლნა; და იმეფა ვითარ ოცდა-ოთხ წელიწად ოდენ, და
დიდსა სიბერესა მიიწია - ხოლო არა ჰყვა ძე, არცა ასული, და ეძიებდა რა=
თამცა ვინ ჰპოვოს ბაგრატოვანთაგანი შვილთაგან კონსტანტინე ქარ=
თველთა მეფისათა, და ჯეროვან იყო, რათა მათგან ვინმე დაიმკვიდროს —
ქართლი: ესრეთ უკვე ძიებასა შინა რა იყო როსტომ განიზრახა
უკვე მემკვიდრედ თჳსა ყოფაჲ ვახტანგის ბაგრატოვანისა. ვითარ უკვე
ბაგრატოვან იყო ვახტანგ, მეათერთმეტესა უკვე სიტყვასა შინა მოვიხსენეთ,
რა მეფე ქართველთა დავით ძე მეფისა კონსტანტინესი - ამას დავითი=
საცა ძმაჲ მოგვიხსენებიეს საჴელით ბაგრატ, ამას ბაგრატს მისცა-
მეფემან დავით სამთავროჲ, რომლისა სახელი არს მუხრანი, ხოლო
ამის ბაგრატის ძე იყო ირაკლი, და ძე ირაკლისი არჩილ, ძე არჩი=
ლისი ვახტანგ, ძე ვახტანგისი თეიმურას, და ძე თეიმურასისი ვა=
ხტანგ მესამე, რომელი იმე მკვიდრა მეფემან როსტომ; ხოლო მოკვდა
მეფე იგი როსტომ, და მეფე იქმნა ვახტანგ მესამე:
ამან დაიპყრა იმერეთიცა, ოდიში, გურია, ქართლი, კა=
ხეთი, ხოლო შირვანი ადრე წარსწყმიდეს კახთა მეფეთა, და შაქისი რო=
მელა აჯი-ჩალაბის სამთავრო, არღარა იგი
აქვნდათ კახთა მეფეთა
1-25 სტრ., 16v
მიერითგან მოაოხრა რა შააბაზ სპარსთა მეფემან კახეთი: ხოლო
დასვა კახეთსა შინა მეფედ, მეფემან ვახტანგ, ძე თჳსი პირმშო არ=
ჩილ - და თჳთ მეფობდა, ქართლსა, და იმერეთსა ზედა; გარნა ვერ=
ღარა ეძლო დაპყრობად სამთავროსა ახალ ციხისასა; მით რამეთუ —
თურქთა ეპყრათ იგი:
ხოლო შემდგომად ჟამთა როსტომის მეფობისათა,
მეფე კახთა თეიმურაზს ვერღარა დაადგრა კახეთსა შინა; რამეთუ ფრიად
მოხუცებულ-იყო, და ძე უკვე მისი დავით მოკლულ-იყო ავაზაკთა=
გან ნადირობასა შინა, და ერთი ოდენ მხოლოდ ძის წული ოდენ ჰყვა საჴელით
ირაკლი და დედითურთ წარგზავნა რუსეთად, წინაშე მეფისა ალექსი=

მიხაილიჩისა, და აღიზარდა რუსეთს შინა ყრმა იგი, რომელსა რუ
სნი უწოდებენ ნიკოლაოსად;
ხოლო მეფე იგი ქართველთა ვახტანგ, ფრიად გონიერ-იყო, და
მჯნე, და ჰქმნა მეფობაჲ ოცსა წელსა ბედნიერობით - და პირმშო ძე მი=
სი წარვიდა კახეთით, რომელა მეფე არჩილ, და დაიპყრა მეფობა იმე=
რეთისა: და შემდგომად მოკვდა მეფე ვახტანგ, და იქმნა მეფედ
ძე მისი გიორგი, და არჩილ წარვიდა რუსეთად, და მუნ აღესრულა
ჟამსა პეტრე პირველისა იმპერატორობისასა, რომლისა ძენიცა
სამნი მოსწყდეს იმპერიასა შინა რუსეთისასა - და დაშთა ასული
საჴელით დარია, რომელიცა მოკვდა ჟამსა ანნა ივანოვნ=
ას იმპერატორობისასა:
ხოლო ვჰსთქვათ ესეცა რამეთუ განუდგა მეფე იგი ქართველ=
თა გიორგი ძე ვახტანგისი, მეფესა სპარსთასა, და მიუღო მეფ=
ობაჲ ქართველთა გიორგის მეფემან სპარსთამან, და მისცა
ირაკლის ძის-წულსა თეიმურაზ კახთა მეფისასა, აღზრდილსა
1-22 სტრ., 17r
რუსეთსა შინა, და ნიკოლოზ საჴელ დებულსა რუსთა მიერ,
და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეა-თხუთ-მეტე:
მეფისა გიორგის-თჳს ძისა ვახტანგ მესამისა,
რომელსა ეწოდა შაჰნავაზ, და საქ=
მეთათჳს მაშინდელთა:

ხოლო ვითარ იხილა მეფემან ქრთველთამან გიორგი, რამეთუ
მოეღო მეფობა, წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, ხოლო იხილა რა სი
ქველე გიორგისა სპარსთა მეფემან, ჰყო სპასალარ, და მეფობაცა ქართ=
ლისა მისცა მას, და მეფესა ირაკლის მისცა მეფობაჲ კახთა საკუთარი
თჳსი: ხოლო მოკვდა ირაკლიცა მეფე, და მეფეცა გიორგი მოიკლა,
ბრძოლათა შინა ყანდაარს, და იქმნა სპარსრთა მეფისა-მიერ მეფედ ქართ=
ველთა ხოსრო, ძმის-წული მეფისა გიორგისი, და ძე ლეონისი, რო=
მელსა სპასალარობაცა აქვნდა სპარსთა მეფისა: და მეფედ კახთა იქმნა —
ძე კახთა მეფისა ირაკლისი დავით: ხოლო მეფეცა იგი ხოსრო მოიკლა
ბრძოლათა შინა იგიცა ყანდაარს. დაშთა მცირე ძე, რომელი იგიცა მო=
კვდა, და ასული ერთი საჴელით ანნა, რომელიცა იმყოფების დღეს
სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს: ხოლო ერთი იგი მოკვდა მეფე იგი
ქართველთა ხოსრო სპარსთა მეფისა-მიერ, მეფე იქმნა ქართველთა
ზედა ძმა მისი იასე, მამა ჩემ უნდოჲსა, და მოიყვანა მან ცოლი ას=
კახთა მეფისა ასული ირაკლისი, დაჲ მეფისა კახთასა დავითისი დედაჲ
ჩემი. და შემდგომად რაოდენისამე წლისა, მეფე ვახტანგ მეოთხე სპარ=
1-24 სტრ., 17v
სთა მეფისა მიერ სპასალარ იქმნა, და მამასა ჩემსა მიუღო ქართ=
ველთა მეფობაჲ, მეფემან სპარსთამან, და მისცა ძესა მეფისა

ვახტანგისსა ბაქარს მეფობაჲ: ხოლო კვალად შემდგომად
რაოდენისამე წლისა, მიუღო მეფობაჲ ბაქარს, მეფემანვე
სპარსთამან, და მისცა მეფესა ვახტანგს მამასა ბაქარისსა:
ხოლო მოკვდა მეფე კახთა დავით, და მეფედ კახთა ჰყო
სპარსთა მეფემან ძმა დავითისი - და ძე ირაკლი მეფისა კახთასა
კონსტანტინე: კ˜დ შემდგომად ორისა წლისა, ანუ სამისა მიუღო
ქართველთა მეფობაჲ ვახტანგს მეფემან სპარსთამან, და მისცა —
კახთა მეფესა კონსტანტინეს: ხოლო ვითარ იხილნა მრავალ ჯერ სი=
ცრუენი სპარსთა მეფისანი, მეფემან ვახტანგ, და თურქნიცა მოვიდეს
და დაიპყრეს საქართველოჲ, წარვიდა იმპერიასა რუსთასა, ჟამსა სანა=
ტრელისა პეტრე პირველისასა - ყოვლითურთ მისით - და მუნ აღესრულა
ქალაქსა ასტრახანს. და ესე ვიდრემე სიტყვა აქამდის:

სიტყვა მეათ-ექვს-მეტე:

მეფისა-თჳს ვახტანგ მეოთხისა, და საქმეთა=
თჳს მაშინდელთა:

წარვიდა რა იმპერიად რუსეთად ვახტანგ მეოთხე, დაუტევა
ძმაჲ თჳსი ნაცვლად თჳსსა მეფე იასე, მამაჲ ჩემი, ხოლო მაშინ იპ=
ყრობდეს ქართლს თურქნი, მოკვდა მამაცა ჩემი, და მოკლეს თურ=
ქთა მეფეცა კახთა კონსტანტინე, და კახთა მეფედ იქმნა თურქთა მიერ —
თეიმურაზ მეორე, ხოლო ჟამსა თეიმურაზის კახთა მეფობისასა თურ=
ქნი მეფობდეს ქართლსა ზედა ფაშა იგი ჯავახეთისა - რომელ არს ახალ=
ციხისა, და მერმე დაიპყრა რა ქართლი შაჰნადირ ხანნი სპარსთანი მე=
1-24 სტრ., 18r
ფობდეს ქართლსა ზედა შ˜დ რაოდენთამე წელთა მისცა მეფობაჲ
ქართლისა შაჰნადირ, მეფესა კახთასა თეიმურაზ მეორესა, და მე=
ფობაჲ კახეთისა ძესა თეიმურაზისსა ირაკლი მეორესა - ხოლო იც=
ხო მეფემან თეიმურაზ ჩემ უღირსისაგან:

ვიტყოდეთ ამასცა ვითარმედ დღეს რაჲვეცა არს ქართ=
ლისა პროვინცია უპყრიეს მეფესა ქართლისასა, უკეთუ არა აღოხ
რებულ-იყო გარნა ქვეყანა იგი ახალ-ციხისა, რომელ არს ჯავახეთი,
შემდგომად მეფისა ქართველთასა ლუარსაბ დიდისა, უპყრიეს
თურქთა - და არს მუნ ფაშად პირველი იგი მათი ათაბაგი - რო=
მელიცა განაწესა მთავრად, მეფემან თამარ ყოვლისა საქართვე=
ლოჲსამან - ხოლო მთავარი იგი ჯავახეთისა, თურქთა დაპყრო=
ბადმდე, ჰმონებდა მეფესა ქართველთასა; ხოლო პროვინცია კახე=
თისა, მესამე უკვე ნაწილი არღარა არს დღეს ჴელის ქვეშე კახთა
მეფისა; რამეთუ შირვანი ადრიდგან მიეღო, და შაქისი ჟამთა=
გან შაჰაბაზის მოოხრებისა - ხოლო შაქისისა ნაწილი არს
ჭარიცა, რომლისა-მიერ აღოხრებულ იქმნა კახეთი, ახალთა ჟამთა
შინა; გარნა რაჲვეცა აქვს დღეს კახთა მეფესა, შენ-არიან ყოველ
ნივე:

ვჰსთქვათ კვალად ესეცა, ვითარმედ დედა ირაკლი მე=
ორისა, რომელი არს დღეს მეფედ კახთა, ასული იყო მეფისა
ქართველთასა ვახტანგ მეოთხისა დაჲ მეფისა ბაქარისა:

“ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხილავსა, მხო=
ლოსა ბრძენსა ღ˜თსა
პატივი, და დიდება უკუნითი უკუნისა-მ-დ-ე
ამინ:
:·